ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	
02 11 02	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი	300000	300000	400000	500000
		300000	300000	400000	500000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი	
02 11 02	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი	X	X	X	X
მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდერტებს)				

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სხვადასხვა ხარჯები			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				02 11 03
ქვეპროგრამის დასახელება:	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯი			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი		არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური			
დაფინანსების წყარო	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი



მუნიციპალური ბიუჯეტი	150000	200000	300000	400000	
სახელმწიფო ბიუჯეტი					
სხვა					
სულ ქვეპროგრამა	150000	200000	300000	400000	
მ.შ. კაპიტალური პროექტები					
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება				
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	
02 11 03	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	150000	200000	300000	400000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი	
02 11 03	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯი	X	X	X	X

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1980,0 ათასი ლარი

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,980.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,980.0

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	დასუფთავება და გარემოს დაცვა
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 01
პროგრამის დასახელება:	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
პროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური



პროგრამის მიზანი და აღწერა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ზემოაღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო 20 ტერიტორიული ერთეულიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების დატვირთვა და გატანა, როგორც კონტეინერული ასევე ზარის პრინციპით. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ქ.თეთრიწყაროში 49 ქუჩის, დაბა მანგლისში 17 ქუჩის, სოფელ კოდაში ჩამოსახლებულ დევნილთა დასახლებაში და სოფელ ასურეთში ცენტრიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზა-შეზღვევის ქუჩის დაგვა-დასუფთავება. აღნიშნულ საქმიანობას ემსახურება 3 ნაგვის გამზიდი სპეც მანქანა (კონტეინერული პრინციპი), 3 (JAC) მარკის თვითმძღველი (ზარის პრინციპით 27 სოფელი) და 3 მცირე ტვირთამწეობის (VTZ T-16) მარკის ტრაქტორი (დაგვა-დასუფთავების ნარჩენების შეგროვება). პროგრამა მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სუბსიდირებით მიღებული სახსრები. მომსახურებაზე შპს "თეთრიწყაროს სერვის ჯგუფის" სუბსიდირებისათვის გათვალისწინებული იქნეს 1980,0 ათასი ლარი

ნარჩენების მართვის პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა.

ქვეპროგრამის დასახელება		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ქუჩების დაგვა დასუფთავება) დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ნარჩენების გატანა)	1980000	2000000	3000000	3500000
სულ პროგრამა		1980000	2000000	3000000	3500000
<i>მ.შ. კაპიტალური პროგრამები</i>					
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		გამართულად ფუნქციონირებს ნარჩენების მართვის სისტემა, მოსახლეობისთვის სერვისის მიწოდების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები და მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. დასუფთავებული გარემო. გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება	გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები		დიახ	

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4300,0 ათასი ლარი.

განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნე განისაზღვროს შემდეგი რედაქციით



პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
04 00	განათლება	4,300.0
04 01	სკოლამდელი განათლება	4,300.0
04 01 01	აიიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"	4,300.0

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სკოლამდელი განათლება			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				04 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	აიიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	აიიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"			
დაფინანსების წყარო	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	4300000	4200000	4700000	4700000
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა				
სულ ქვეპროგრამა	4300000	4200000	4700000	4700000
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
პროგრამის მიზანი და აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.			
პროგრამის მიზანი და აღწერა	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 16 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 673 ზე მეტი ბავშვი მათ შორის: გოგონა 317 , ხოლო ბიჭი 356 ბავშვში ჯამში დასაქმებულია 235 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. აიიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი " პროგრამის მიზანია:			
	ა(ა)იპ - „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა			



პროგრამის მიზანი და აღწერა

მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 673-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, მათ შორის: გოგონა 317, ხოლო ბიჭი 356. რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 50%-ს შეადგენს. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
04 01 01	ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"	4300000	4200000	4700000	4700000
		4300000	4200000	4700000	4700000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება		1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
04 01 01	ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"	X	X	X	X
მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)		<p>მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის სფეროს თანაბარი ხელმისაწვდომობა 2-დან 6 წლამდე ბავშვებისთვის და ხელშეწყობილია სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მისაღებად.</p> <p>მოზარდების ტრანსპორტირება სასწავლო დაწესებულებებში აღსაზრდელო შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა.</p>			
გეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის</p> <p>მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა</p> <p>მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა</p>	გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები		დიახ	

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

„კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2852,4 ათ. ლარი.

„კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის“ პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,852.4



05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,073.7
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა ააიპ "კულტურისა და სპორტის ცენტრი"	935.3
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	138.4
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,644.7
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა; ააიპ "კულტურისა და სპორტის ცენტრი"	1,644.7
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	134.0
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	134.0

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		სპორტის სფეროს განვითარება		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		05 01 01		
ქვეპროგრამის დასახელება:		სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა 'ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“		
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	<u>არა</u>	
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“		
დაფინანსების წყარო	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	935300	700000	900000	1000000
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა				
სულ ქვეპროგრამა	935300	700000	900000	1000000
მ.შ. კაპიტალური პროექტები				

ა.ა.ი.პ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“ აერთიანებს 11 სპორტულ მიმართელებას, ესენია: ფეხბურთი (59 ბავშვი, მათ შორის 14 გოგო და 45 ვაჟი); კრივი (36 ბავშვი, მათ შორის: 36 ვაჟი); რაგბი (25 ბავშვი, მათ შორის: 25 ვაჟი); მკლავჭიდი (20 ბავშვი, მათ შორის 20 ვაჟი); სამზო (10 ბავშვი, მათ შორის 10 ვაჟი); კარატე (40 ბავშვი, მათ შორის: 4 გოგონა 36 ვაჟი); ძიუდო (122 ბავშვი, მათ შორის: 15 გოგონა 107 ვაჟი); ფრენბურთი (25 ბავშვი, 15 გოგო, 10 ვაჟი) . კალათბურთი (45 ბავშვი, 10 გოგო, 35 ვაჟი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (32 ვაჟი); თავისუფალი ჭიდაობა (60 ვაჟი) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 474 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტის სამსახურში დასაქმებულია ჯამში 37 ადამიანი, ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

ქვეპროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.



ქვეპროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“	935300	700000	900000	1000000
		935300	700000	900000	1000000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება		1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“	X	X	X	X

მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)

ხელშეწყობილია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია თანაბარი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის;

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა	გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები	დიახ
--	--	--	------

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სპორტის სფეროს განვითარება			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				05 01 03
ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური			
დაფინანსების წყარო	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	138400	0	0	300000



სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა				
სულ ქვეპროგრამა	138400	0	0	300000
მ.შ. კაპიტალური პროექტები	138400	0	0	300000

პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინი სპორტული მოედნების მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების შესაბამისად გათვალისწინებული თანხიდან 2024 წელს თანდაფინანსების სახით დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსეევკაში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებისათვის თანადაფინანსების სახით გათვალისწინებული იქნეს **4365.00** ლარი. 2023 წელს ათვისებული იქნა 45906,00 ლარი (მათ შორის: ც.ბ 43611,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2295,00 ლარი, პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 138776,70 ლარი)
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებისათვის თანადაფინანსების სახით გათვალისწინებული იქნეს **4441.00** ლარი, 2023 წელს ათვისებული იქნა 47094,00 ლარი (მათ შორის: ც.ბ 44739,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2355,00 ლარი, პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 142369,90 ლარი)
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამშვილდეში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებისათვის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული იქნეს **4717.00** ლარ. 2023 წელს ათვისებული იქნეს 45000,00 ლარი (მათ შორის: ც.ბ 42500,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2500,00 ლარი, პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 129245,70 ლარს)

ქ.თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის მშენებლობის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული იქნეს 125,0 ათასი ლარი . პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2 500,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	138400	0	0	300000
		138400	0	0	300000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება		1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	X	X	X	
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)		მეტი ახალი და რეაბილიტირებული სტადიონები. ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა; მოსახლეობის ცხოვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაპროექტება			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 01



ქვეპროგრამის დასახელება:		კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“				
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა			
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?						
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“				
დაფინანსების წყარო	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	1644700	1620000	1550000	1570000		
სახელმწიფო ბიუჯეტი						
სხვა						
სულ ქვეპროგრამა	1644700	1620000	1550000	1570000		
მ.შ. კაპიტალური პროექტები						
მიზანი და აღწერა	<p>ა.ა.ი.პ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“ გაერთიანებულია 8 სხვადასხვა მიმართულება, 3 ქორეოგრაფიული წრე (სულ 206 ბავშვი, მათ შორის 99 გოგო და 107 ვაჟი), 2 ფოლკლორული ანსამბლი (17 წევრი), 2 ბავშვთა საესტრადო წრე (სულ 15 გოგონა). ქართული ხალხური საკრავები (სულ 61 ბავშვი, მათ შორის 41 გოგონა და 20 ვაჟი); გიტარის წრე (სულ 12 ბავშვი 4 გოგონა და 8 ვაჟი); კლასიკური მუსიკის სკოლაში ფორტეპიანოს ეუფლება (179 მოსწავლე, მათ შორის 130 გოგო და 48 ვაჟი); ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 490 აღსაზრდელი.</p> <p>ხელოვნების განყოფილებაში გაერთიანებულია 12 წრე: თეატრალური საბავშვო სტუდია (სულ 6 ბავშვი 3 გოგონა 3 ვაჟი). 3 ხატვის წრე, სულ 46 ბავშვი (31 გოგონა, 15 ვაჟი); თექის წრე 36 ბავშვი (26 გოგონა, 10 ვაჟი), კერამიკის წრე 5 ბავშვი (2 გოგონა 3 ვაჟი), ხალიჩების ქსოვა 2 წრე, სულ 17 (13 გოგონა 4 ვაჟი), ქარგვა-ქსოვა სულ 15 (12 გოგონა 3 ვაჟი), ქსოვის წრე სულ 6 (6 გოგონა), ქარგვა-თექა სულ 7 (7 გოგონა), მინანქარი 8 (8 გოგონა), ხეზე კვეთა სულ 10 (10 ვაჟი), ქვილთი (5 გოგონა), ქარგვა (8 გოგო), ჭრა კერვა (2 გოგონა), მხატვრული კითხვის წრე, სულ 5 (გოგონა 5) ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 146 აღსაზრდელი.</p> <p>მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 12 000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 500-ს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 10 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 69 658 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 1752 მოსახლე.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა</p> <p>ქვეპროგრამის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები, ცენტრი კულტურის წრეების საქმიანობის პროცესში ითვალისწინებს გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებებს. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.</p>					
	ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	
	05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“	1644700	1620000	1550000	1570000
			1644700	1620000	1550000	1570000
	ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი		



05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“	X	X	X	X
მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის ცენტრის მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ,სამუსიკო და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრ- სტუდიაში იდგმება სპექტაკლები. ბიბლიოთეკები და მუზეუმი საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით, სამუშაო მასალებით, ტრენინგებით.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა	გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები		დიახ	

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		ახალგაზრდობის მხარდაჭერა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				05 03 01
ქვეპროგრამის დასახელება:		ახალგაზრდობის მხარდაჭერა		
არის ქვეპროგრამა ახალი?		კ	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?		ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
დაფინანსების წყარო	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	134000	120000	120000	120000
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა				
სულ ქვეპროგრამა	134000	120000	120000	120000
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
ქვეპროგრამა ითვალისწინებს ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის გაცემას, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ საუკეთესო შედეგების მქონე 40 სტუდენტზე (სემესტრის ფარგლებში 20 სტუდენტი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიღებული აქვთ დადებითი შეფასება (A)-ფრიადი (91 ქულა და მეტი) იმავე საფეხურის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად. ამასთან, სასურველია კონკურსში მონაწილე სტუდენტს მაღალ აკადემიურ მოსწრებასთან ერთად, მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სხვადასხვა აქტივობებში, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში თუ სხვა კვლევით ან/და საგანმანათლებლო პროექტებში.				



მიზანი და აღწერა	<p>ასეთ სტუდენტებს მიენიჭება უპირატესობა სხვა კონკურსანტებთან შედარებით. ასევე, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და ამავე მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო და კერძო სკოლებში რეგისტრირებულ მოსწავლეებზე, რომელთაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შეძლეს წარმატებით ჩარიცხვა და მოიპოვეს 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი გრანტი. ქვეპროგრამა ასევე, ითვალისწინებს ვაჟა-ფშაველას სახელობის ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და ამავე მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო და კერძო სკოლებში რეგისტრირებულ მოსწავლეებზე, რომელთაც სახელმწიფო და საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციურობაზე ორიენტირებულ კონკურსებში (ეტალონი, დიდგორელი, მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა (FLEX) და სხვ.), მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, მიაღწიეს წარმატებას მინიმუმ მუნიციპალიტეტის დონეზე.</p> <p>სტუდენტთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით, ხოლო აბიტურიენტებზე და მოსწავლეებზე პრემიის გაცემა მოხდება მიღწეული წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.</p>
მიზანი და აღწერა	<p>ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია სტუდენტებზე სემესტრულად შეადგენს 500 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, ხოლო ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია მოსწავლეთათვის ერთჯერადად შეადგენს 200 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. პრემია 100%-იანი გრანტით ჩარიცხულ აბიტურიენტებზე - 1000 ლარს, 70%-იანი გრანტით ჩარიცხულ აბიტურიენტებზე - 700 ლარს, 50%-იანი გრანტით ჩარიცხულ აბიტურიენტებზე - 500 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.</p> <p>სტუდენტთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით ხოლო მოსწავლეებზე და აბიტურიენტებზე პრემიის გაცემა მოხდება მიღწეული წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.</p>
მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერის გაცემას აკრედიტებულ პროფესიულ სასწავლებლებში, 2023-2024 სასწავლო ან 2024 კალენდარული წლის განმავლობაში, პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და განეკუთვნებიან შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს მაინც, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) არის სოციალურად დაუცველი ოჯახიდან და ოჯახს მინიჭებული აქვს 0-დან 12000-ის ფარგლებში სარეიტინგო ქულა; ბ) არის დედ-მამით ან დედით ან მამით ობოლი; გ) არის მრავალშვილიანი ოჯახიდან (4 და მეტი შვილი); დ) არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილი; ე) არის მარტოხელა მშობლის სტატუსის მატარებელი ან მისი შვილი. <p>ვ) რეგისტრირებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ჩარიცხულია/სწავლობს შემდეგ პროფესიულ მიმართულებებზე: ვეტერინარი, ელექტრიკოსი, შემდეგებელი, მძიმე ტექნიკის ოპერატორი, ფერმერი, ფარმაცია, საექთნო საქმე, გიდი, მშენებლობის წარმოება, რძის პროდუქტების წარმოება, სატყეო საქმე.</p> <p>ასევე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერის გაცემას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეზე, რომელმაც თავის საქმიანობაში მიაღწია წარმატებას და მოიპოვა აღიარება.</p> <p>ასევე, ითვალისწინებს საქმიანობის ხელშეწყობა/განვითარების მიზნით, ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერის გაცემას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხელოვნების დარგში მოღვაწე მოქალაქეებზე და შემოქმედებით ჯგუფების ხელმძღვანელებზე, რომლებსაც აქვთ მოპოვებული აღიარება ან/და წარმატება მინიმუმ ეროვნულ დონეზე, საქმიანობის ფარგლებში. ქვეპროგრამით ასევე გათვალისწინებულია მიზნობრივი პროგრამების განხორციელებისთვის სპეციალისტების მომზადების დაფინანსება.</p> <p>ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა პროფესიული პროგრამის სტუდენტზე, სასწავლო წლის განმავლობაში ერთჯერადად, შეადგენს 500 ლარს, ასევე ერთჯერადად 500 ლარს წარმატებულ მოქალაქეზე, 1000 ლარს ხელოვნების დარგში მოღვაწე მოქალაქეზე, 1500 ლარს ხელოვნების დარგში მოღვაწე ჯგუფზე, არაუმეტეს 2000 ლარს მიზნობრივ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.</p>
	<p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსების ფორმით განხორციელებს ადგილობრივი არაკომერციული სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების ინიციატივების მხარდაჭერას ორი ძირითადი მიზნის მისაღწევად.</p> <p>1. მოქალაქეთა მონაწილეობის ინსტრუმენტების და მექანიზმების, ასევე გამჭვირვალე საინფორმაციო და ანგარიშვალდებულების სისტემების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;</p>



მიზანი და აღწერა

2. თემების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება და სტიმულირება თემში სერვისებზე ხელმიუწვდომლობის აღმოფხვრის, ასევე მოხალისეობრივი საქმიანობის გაძლიერების, სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ახალგაზრდების განვითარების მიზნით.

ინიციატივა, რომელიც ემსახურება ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას, ასევე გულისხმობს თემში მოხალისეობრივი საქმიანობის გაძლიერებას და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ახალგაზრდების განვითარებას, იქნება მხარდაჭერილი, რაც გულისხმობს როგორც ფინანსური, ასევე სხვა მატერიალური (შენობა-ნაგებობის დროებით უსასყიდლოდ სარგებლობა) რესურსის გაცემას. პროგრამით სარგებლობა (განაცხადების მიღება) შესაძლებელი იქნება მთელი წლის განმავლობაში. სოციალურ ინიციატივებს განიხილავს შესაბამისი კომისია, დადებითი შეფასების შემდგომ გაიცემა საგარანტიო წერილი, ხოლო დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში ფორმდება ხელშეკრულება თანადაფინანსებაზე.

განმცხადებელმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს დოკუმენტები მერიაში. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს გენდერულად მგრძობიარე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას და გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
05 03 01	ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია წარმატებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის	30000	30000	30000	30000
05 03 01	პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;	23000	25000	30000	30000
05 03 01	ბასილ მელიქიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია	2500	2500	2500	2500
05 03 01	პრემია წარმატებულ აბიტურიენტებზე	24500	30000	40000	40000
05 03 01	ადგილობრივი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერა;	50000	28500	13500	13500
05 03 01	ეტალონი	4000	4000	4000	4000
		134000	120000	120000	120000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება		1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერა (ადგილობრივი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა)	X	X	X	X

მოსალოდნელი შედეგი: ახალგაზრდების თანაბარი ჩართულობა, მათი ინიციატივებისა და იდეების განხორციელება, გენდერულად მგრძობიარე ახალგაზრდული პოლიტიკის გატარება

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	დიახ
--	--	-----------	------

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა



„ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1367,0 ათასი ლარი.

„ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის“ პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებულ პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგ რედაქციით:

პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,367.0
06 01	ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“	247.0
06 02	სოციალური პროგრამები	1,120.0
06 02 01	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება. მშობიარეთა დახმარება	295.0
06 02 02	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"	450.0
06 02 03	მარჩენალდაკარგულ პირთა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი, დევნილი და ეკომიგრანტი) ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა. სსიპ "წითელი ჯვარი"	230.0
06 02 04	დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება	20.0
06 02 05	გადაუდებელი აუცილებლობის, სტიქიის, უბედური და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევებისას ნატურალური თუ ფულადი ფორმით დახმარება	100.0
06 02 06	მეორე მსოფლიო ომისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ან მათთან გათანაბრებულ პირების დახმარება	10.0
06 02 07	სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის და იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დახმარება	15.0

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01
პროგრამის დასახელება:	ააიპ "თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"
პროგრამის განმახორციელებელი:	ააიპ "თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2027
საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს.	



თვითმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:

- ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
- გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი;
- ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის;
- ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;
- ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) პირველად ჯანდაცვაში ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის პროგრამა.
- ი) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

პროგრამის მიზანი და აღწერა

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან

- ეპიდზედამხედველობა (მათ შორის: ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა, მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი);
- იმუნიზაცია;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- 5. მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

ქვეპროგრამის დასახელება		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
06 01	ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“	247000	250000	250000	250000
სულ პროგრამა		247000	250000	250000	250000
<i>მ.შ. კაპიტალური პროგრამები</i>					
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია	გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები		არა	



ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 01			
ქვეპროგრამის დასახელება:	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება. მშობიარეთა დახმარება			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა		
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
დაფინანსების წყარო	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	295000	350000	370000	350000
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა				
სულ ქვეპროგრამა	295000	350000	370000	350000
მ.შ. კაპიტალური პროექტები				

დახმარებას მიიღებენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები: დიალიზზე მყოფი პირები ტრანსპორტირებისთვის მიიღებენ ყოველთვიურ დახმარებას არაუმეტეს 200 ლარისა. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ - 90 წლის და უფროსი ასაკის პირები (100 ლარით) და 100 წლისა და უფროსი ასაკის პირი (დახმარებად განსაზღვრულია ერთჯერადად 1000 ლარი), შშმ ბავშვები (500 ლარით), მკვეთრად გამოხატული შშმ პირები (500 ლარით), მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატულ შშმ ვეტერანებს (500 ლარით) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები (18 წლამდე), სარეაბილიტაციოდ (ეტაპების მიხედვით), კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარით.

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის, თავისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანებისას რეაბილიტაციის თანადაფინანსება მზღვეველის მიერ დაფინანსებული თანხის პროცენტული ოდენობის შესაბამისად. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება, როდესაც პაციენტის თანაგადასახდელი თანხის ოდენობა არ აღემატება 3000 (სამი ათას) ლარს, არაუმეტეს სამედიცინო დაზღვევის მიერ დაფინანსებული თანხის პროცენტული ოდენობისა. იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის გადასახდელი თანხა აღემატება 3000 (სამი ათას) ლარს, დაფინანსდება მზღვეველის მიერ დაფინანსებული თანხის პროცენტული ოდენობის მიუხედავად.

მიზანი და აღწერა

დიაგნოსტიკური კვლევების საჭიროებისას, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთათვის, რომელთაც ესაჭიროებათ სამედიცინო კვლევა და გააჩნიათ 0-დან 65 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება განისაზღვროს წარმოდგენილი კალკულაციის 100% -ით, ხოლო დანარჩენი მოქალაქეებისათვის -80%-ით

პალიატიური მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება განისაზღვროს წარმოდგენილი კალკულაციის შესაბამისად, წელიწადში არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა.

ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისათვის ადაპტირებული სახლის/გარემოს მოსაწყობად გაიცემა ერთჯერადი მატერიალური დახმარება ოჯახის რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (2000 ლარი).

ყოველთვიურ დახმარებას მიიღებენ უსახლკაროს სტატუსის მქონე პირები ქირის სახით (არაუმეტეს 200 ლარი).

სოც. დაუცველები (0-დან 120 000 ქულის ჩათვლით), შშმ პირები, ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები მიიღებენ დახმარებას მედიკამენტების შესაძენად 200 (ორასი) ლარის ფარგლებში.

პროგრამის მიზანია მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

პროგრამა ხელს უწყობს გენდერულად მგრძობიარე სოციალური პოლიტიკის განხორციელებას და სოციალური პროგრამის დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცებისთვის სხვადასხვა სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
-------------------------------------	-----------	-----------	-----------	-----------



06 02 01	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება. დახმარება	295000	350000	370000	350000
		295000	350000	370000	350000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება		1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
06 02 01	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება. დახმარება	X	X	X	X
მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)	გაუმჯობესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები		დიახ	

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამები			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 02			
ქვეპროგრამის დასახელება:	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა		
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“			
დაფინანსების წყარო	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	450000	450000	400000	450000
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა				
სულ ქვეპროგრამა	450000	450000	400000	450000
მ.შ. კაპიტალური პროექტები				

ქ. თეთრიწყაროში მცხოვრებ სოციალურად დაუცველთა დღეში ერთხელ ცხელი საკვებით უზრუნველყოფა, ხოლო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში სოციალურად დაუცველთა თვეში ერთხელ



მიზანი და აღწერა	მშრალი საკვებით უზრუნველყოფა. უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება პროგრამით შესაძლებელი იქნება ქ.თეთრიწყაროში არანაკლებ 115 ბენეფიციარის, ხოლო სოფლად არანაკლებ 425 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა ქვეპროგრამა გენდერულად მნიშვნელოვანია და გათვალისწინებულია ქალებისა და კაცების საჭიროებები.				
ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	
06 02 02	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“	450000	450000	400000	450000
		450000	450000	400000	450000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი	
06 02 02	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“	X	X	X	X
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)	საჭიროების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია უფასო კვების მომსახურება				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა	გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები	დიახ		
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამები				
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 03	
ქვეპროგრამის დასახელება:	მარჩენალდაკარგულ პირთა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი, დევნილი და ეკომიგრანტი) ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა სსიპ „წითელი ჯვარი“				
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა		
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოც.უზრუნველყოფის, განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				



დაფინანსების წყარო	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	230000	100,000	100,000	100,000
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა				
სულ ქვეპროგრამა	230000	100,000	100,000	100,000
მ.შ. კაპიტალური პროექტები				

ყოველთვიურ დახმარებას მიიღებენ 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვები (200 ლარი) და 4 და მეტი შვილიანი (რომელთაგან არანაკლებ ოთხი 18-წლამდე ასაკისაა) ოჯახები (თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე 20 ლარი), უსახლკაროს სტატუსის მქონე პირები ქირის სახით (არაუმეტეს 200 ლარი).

ერთჯერადი დახმარება გაეწევა 18 წლამდე ასაკის, დედით, ან მამით ობოლ ბავშვებს (200 ლარით), მარტოხელა მშობელს (300 ლარი), ოჯახებს, მეოთხე და მომდევნო შვილის შეძენისას (200 ლარი)

პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი დახმარება გაეწევა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირს, რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახებს და სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 24 წლის ახალგაზრდებს, რომლებმაც ზრუნვის სისტემაში გაატარეს არანაკლებ 2 წელი ასევე პენიტენციური დაწესებულებიდან ახლადგამოსულ, ოჯახის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ პირს (1000 ლარი).

